KA020170439837421

საქართველოს
ეკონომიკისა და მდგრადი
განვითარების სამინისტრო

MINISTRY OF ECONOMY
AND SUSTAINABLE
DEVELOPMENT OF GEORGIA

0114 თბილისი, სანაპიროს ქ. №2
2, Sanapiro str., 0114 Tbilisi, Georgia

Tel.: (+995 32) 2 99 11 05
Tel.: (+995 32) 2 99 11 11

№ 07/2742

27 / აპრილი / 2021 წ.

საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის
დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტს

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და
განვითარების ცენტრს

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინიტრომ განიხილა საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის 2021 წლის პირველი აპრილის N2943/4-13/21 წერილით მოწოდებული საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის მიერ პროდუქციის უსაფრთხოების კონტროლთან დაკავშირებით მომზადებული 2021 წლის 26 თებერვლის N3-722 პეტიცია და გაცნობებთ შემდეგს:

მიმდინარე ეტაპზე სსიპ - ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტო ზედამხედველობას ახორციელებს შემდგომ ისეთ სამომხმარებლო და ინდუსტრიულ პროდუქტებზე, როგორებიცაა სამშენებლო პროდუქტები, სათამაშოები, ინდივიდუალური დაცვის საშუალებები, აირად საწვავზე მომუშავე მოწყობილობები, მანქანა-დანადგარები, ფეთქებად საშიშ გარემოში გამოსაყენებელი მოწყობილობები.

ამასთან, საქართველოს მთავრობის 2021 წლის 2 აპრილის № 148 დადგენილებით დამტკიცდა ტექნიკური რეგლამენტი – ლაქ-საღებავებში ტყვიის შემცველობის რეგლამენტირების წესის შესახებ. დადგენილება ამოქმედდება 2023 წლის 1 ივლისიდან, რის შემდგომაც სააგენტო ზედამხედველობას განახორციელებს ასევე სამშენებლო საღებავებში ტყვიის შემცველობაზე. ამასთან, 2022 წლის ბოლომდე იგეგმება სამშენებლო პროდუქტების შესახებ ევრორეგულაციის შემდგომი დაახლოება და ძაბვის გარკვეულ ზღვრებში მომუშავე ელექტრო მოწყობილობების შესახებ ევროდირექტივის დაახლოება, რის შედეგადაც სააგენტოს მიერ ბაზარზე ზედამხედველობა ასევე განხორციელდება სამომხმარებლო ტიპის სამშენებლო პროდუქტებზე და ძაბვის გარკვეულ ზღვრებში მომუშავე ელექტრო მოწყობილობებზე.

ამა თუ იმ სამომხმარებლო პროდუქტზე ზედამხედველობის დანერგვისა და ახალი რეგულაციების ეფექტური იმპლემენტაციისთვის, არსებითი მნიშვნელობისაა სახელმწიფოს მხრიდან შერჩეულ იქნას თანმიმდევრული მიდგომა. პირველ რიგში, უნდა მოხდეს თითოეული საზედამხედველო სფეროს შესწავლა და მათი სპეციფიკიდან გამომდინარე შესაბამისი პროცედურების დანერგვა, ასევე სსიპ - ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტოს თანამშრომელთა გადამზადება. ამასთან, ადგილობრივ მწარმოებლებს უნდა შეეძლოთ თავიანთი პროდუქციის შესაბამისობის შეფასების პროცედურების წარმართვა, მეორე მხრივ კი, საჭიროა შეიქმნას აკრედიტაციის სქემები და არსებობდეს შესაბამისობის შემფასებელი პირები, რომელთაც ექნებათ შეფასების პროცედურების განხორციელების უფლება. ეკონომიკური ოპერატორების მზაობის კუთხით, საჭიროა თითოეული ეკონომიკური ოპერატორი გაეცნოს არსებულ კანონმდებლობას, დანერგოს შიდა საწარმოო კონტროლის სისტემა, მოიძიოს შესაბამისობის შემფასებელი ორგანო, შეამოწმოს წარმოებული პროდუქცია რამდენად აკმაყოფილებს ტექნიკური რეგლამენტის უსაფრთხოების მოთხოვნებს, პროდუქტზე დაიტანოს საჭირო ინფორმაცია და შეიტანოს შესაბამისი ცვლილებები ბიზნეს საქმიანობაში. ვინაიდან ზემოაღნიშნული პროცესების პრაქტიკაში განხორციელება დროსა და დანახარჯებთან არის დაკავშირებული, ბაზარზე ზედამხედველობის დანერგვა, როგორც ამას ევროპული საუკეთესო გამოცდილება ცხადყოფს, თანმიმდევრულ, ეტაპობრივ მიდგომას მოითხოვს.

ამდენად, ბაზარზე ზედამხედველობის მიმართულებით სამომხმარებლო პროდუქტების ეტაპობრივი დაფარვა, მათ შორის, შესაბამისი გარდამავალი პერიოდის განსაზღვრა თითოეული სფეროს იმპლემენტაციისთვის, ერთი მხრივ, თანხვედრაშია ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისთვის გათვალისწინებულ ვადებთან და ევროპულ საუკეთესო გამოცდილებასთან, მეორე მხრივ კი, ითვალისწინებს ეკონომიკური ოპერატორებისა და ქვეყნის ინსტიტუციური მომზადებისთვის საჭირო ღონისძიებების გატარებას.

ამასთან გაცნობებთ, რომ სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის განცხადების საფუძველზე სამომხმარებლო პროდუქციის უსაფრთხოების ზომების თაობაზე, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს პოზიცია 2021 წლის 16 თებერვლის N07/760 წერილით ასევე ეცნობა საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტს და საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრს (თან ერთვის).

დანართი: 2 ფურცელი.

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

მინისტრის მოადგილე

გენადი არველაძე

KA020137783499221

საქართველოს
ეკონომიკისა და მდგრადი
განვითარების სამინისტრო

MINISTRY OF ECONOMY
AND SUSTAINABLE
DEVELOPMENT OF GEORGIA

0114 თბილისი, სანაპიროს ქ. №2
2, Sanapiro str., 0114 Tbilisi, Georgia

Tel.: (+995 32) 2 99 11 05
Tel.: (+995 32) 2 99 11 11

№ 07/760

16 / თებერვალი / 2021 წ.

საქართველოს პარლამენტის ადამიანის
უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო
ინტეგრაციის კომიტეტს

ასლი: საქართველოს სტრატეგიული
კვლევებისა და განვითარების ცენტრს

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ განიხილა საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის 2021 წლის 05 იანვრის N 36/4-2/21 წერილით მოწოდებული, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის 2020 წლის 16 დეკემბრის N1-1116/20 განცხადება, საქართველოს ხელისუფლების მიერ სამომხმარებლო პროდუქციის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად სასწრაფო ზომების მიღებასთან დაკავშირებით და გაცნობებთ, შემდეგს:

როგორც ცნობილია, ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების მიხედვით, საქართველომ აიღო კანონმდებლობის დაახლოების ვალდებულება ევროკავშირის რეგულაციებთან, რომელთა ეროვნულ კანონმდებლობაში ასახვა მიმდინარეობს ეტაპობრივად, მათ შორისაა საქართველოს ბაზარზე განთავსებული პროდუქტების ზედამხედველობის ნაწილიც.

2020 წლის 1 იანვარს სსიპ - ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს გამოეყო და ცალკე ერთეულად ჩამოყალიბდა სსიპ ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტო, რომელიც არის საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი. სააგენტოს ფუნქციაა პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსისა და შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტების მოთხოვნებთან შეუსაბამო ან/და საფრთხის შემცველი პროდუქტის ბაზარზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვის ან/და აღკვეთის გზით, ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობის, საკუთრებისა და გარემოს დაცვა.

სააგენტო ამჟამად დამოუკიდებლად ახორციელებს ზედამხედველობას ბაზარზე განთავსებულ ისეთ სამომხმარებლო და ინდუსტრიულ პროდუქტებზე, როგორებიცაა სამშენებლო პროდუქტები, სათამაშოები, ინდივიდუალური დაცვის საშუალებები, აირად საწვავზე მომუშავე მოწყობილობები, მანქანა-დანადგარები, ფეთქებად საშიშ გარემოში გამოსაყენებელი მოწყობილობები და ა.შ. თუმცა, სააგენტოს ზედამხედველობას დაექვემდებარა ასევე ის პროდუქტები, რომლებზეც წარსულში ზედამხედველობა ხორციელდებოდა სსიპ - ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს მიერ. მათ შორისაა ლიფტები, ადამიანების გადასაყვანად განკუთვნილი საბაგირო მოწყობილობები, წნევის ქვეშ მომუშავე მოწყობილობები, წნევის ქვეშ მყოფი მარტივი ჭურჭლები, თხევად ან აირად საწვავზე მომუშავე წყლის ახალი გამაცხელებლები.

როგორც ზემოთ აღინიშნა, საქართველოს კანონმდებლობის ევრორეგულაციებთან დაახლოება მიმდინარეობს ეტაპობრივად, მათ შორის საქართველოს ბაზარზე განთავსებული სამომხმარებლო და ინდუსტრიული პროდუქტების ზედამხედველობის ნაწილში დაახლოების პროცესი უნდა დასრულდეს 2022 წელს.

მინისტრის მოადგილე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

გენადი არველაძე